ჰენდაუთი 2.1: ძალადობრივი ექსტრემიზმის განმზიდველი და მიმზიდველი ფაქტორების გააზრება

პოპულარული ნარატივი, რომელიც ჯგუფში (ძალადობრივი ექსტრემისტების მემარცხენე ჯგუფებში, მაგალითად, კოლუმბიის რევოლუციურ შეიარაღებულ ძალებში (FARC)) წარმოდგენილ ყველა სუბიექტს სთავაზობს სოციალურ და ეკონომიკურ თანასწორობას;

კონკრეტული თემის ფარგლებში არსებულ შესაძლებლობებთან წვდომის საყოველთაო ნაკლებობა;

პოპულარული ნარატივი, რომელიც აღძრავს შურისძიების გრძნობას მარგინალიზაციის და სტრუქტურული უსამართლობის წინააღმდეგ;

კონკრეტული თემის ან ქვეყნის ფარგლებში გავლენიანი ანტისოციალური ჯგუფების (უმნიშვნელო კრიმინალების, რეკრუტერების, ბანდების) საყოველთაოდ გავრცელება;

პოპულარული ნარატივი ჯგუფის (რადიკალი მემარჯვენე ჯგუფების ან პოლიტიკური ექსტრემისტული ჯგუფების) ფარგლებში „ჭეშმარიტი პატრიოტის ან ქვეყნის მხსნელის სახით მოქმედების შესახებ";

კონკრეტული თემის ფარგლებში საჯარო კორუფციის მაღალი დონე;

პოპულარული ნარატივი, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია ცხოვრების ახლად მოპოვებულ აზრზე, ახლად შეძენილ სიამაყის გრძნობასა და ეგოზე (მაგალითად, #FrombeingaZerotoBeingaHero);

კონკრეტული ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფების სტრუქტურული მარგინალიზაცია ქვეყნის ან თემის ფარგლებში;

პოპულარული ნარატივი, რომელიც მსმენელებს ჰპირდება სამოთხეს ჯგუფისთვის გარკვეული ქმედებების შესრულებისა და ერთგულებისთვის ჯილდოს სახით;

საზოგადოების მხრიდან მასშტაბური უკმაყოფილება არსებულ რესურსებთან (წყალი, საკვები, მიწა, განათლება), აგრეთვე მართლმსაჯულების სისტემასთან წვდომის ნაკლებობის გამო;

პოპულარული ნარატივი, რომელიც იყენებს ეკონომიკურ წახალისებას, შესაძლებლობებს, საკუთრებასთან დაკავშირებულ უფლებას;

კონკრეტული თემის ან ქვეყნის ფარგლებში უმუშევრობის მაღალი დონე;

კონკრეტულ ქვეყანაში ეკონომიკური შესაძლებლობების მასშტაბური დეფიციტი;

პოპულარული ნარატივი, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია ჯგუფის ფარგლებში ოჯახის შექმნასა და დაქორწინებაზე;

კონკრეტული ჯგუფისთვის ან კონკრეტული თემის/ქვეყნის ფარგლებში განათლების მიღების შესაძლებლობასთან წვდომის სტრუქტურული ნაკლებობა;

გარკვეული ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფებისთვის ან გარკვეული თემის ფარგლებში მიწებთან წვდომის მასშტაბური ნაკლებობა;

პოპულარული ნარატივი „ჭეშმარიტ მუსლიმად ან რელიგიურ ადამიანად ყოფნის" შესახებ ჯგუფში (რელიგიურ მოტივებზე დაფუძნებულ ჯგუფებში) გაწევრიანების გზით;

პოპულარული ნარატივი, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია ახლად შეძენილ მიკუთვნების გრძნობაზე ან მეგობრულ ურთიერთობებზე ჯგუფის ფარგლებში;

მმართველობის მასშტაბური არასტაბილურობა.